



# მარწყვი




## მარწყვის წარმოება მსოფლიოს მასშტაბით

მარწყვი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კენკროვანი ხილია. მაგრამ იგი ყველაზე მალფუჭებად პროდუქტთა სიაშიც შედის. შესაბამისად, ბაღის მარწყვის (*Fragaria Ananassa*) წარმოება უკანასკნელ წლებამდე მკვეთრად გამოსატული სეზონურობით ხასიათდებოდა. უკანასკნელ წლებში, ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით, სწრაფად უმჯობესდება როგორც მარწყვის მოსავლიანობა, ასევე სასათბურე და სამაცივრე მეურნეობების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, რის შედეგადაც მარწყვის წარმოება მსოფლიოში 2000-2013 წლებში თითქმის 75%-ით გაიზარდა.

— მრავიპი 1 —

მარწყვის წარმოება მსოფლიოში (მილიონი ტონა)



წყარო: FAOSTAT (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)


გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, 2013 წელს მარწყვის წარმოებით მსოფლიოში პირველ 5 ადგილს იკავებდნენ შემდეგი ქვეყნები: ჩინეთი (3.0 მილიონი ტონა), აშშ (1.4 მილიონი ტონა), მექსიკა (0.4 მილიონი ტონა), თურქეთი (0.4 მილიონი ტონა) და ესპანეთი (0.3 მილიონი ტონა). ხოლო მსოფლიოში მარწყვის წარმოების ჯამურმა მოცულობამ 7.7 მილიონი ტონა შეადგინა.

## მარწყვის ექსპორტი-იმპორტი

2015 წელს ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-ხუთეულებში ადგილებს ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები ინაწილებდნენ. ამ წელს საერთაშორისო ბაზარზე ესპანეთმა 283.1 ათასი ტონა (608.3 მილიონი დოლარის ღირებულების, ხოლო აშშ-მა 134.3 ათასი ტონა მარწყვი გაყიდა (436.1 მილიონი დოლარის ღირებულების).

### გრაფიკი 2

მარწყვის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები




წყარო: trademap.org (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს აშშ მარწყვის მთავარი იმპორტიორი ქვეყნების სიაშიც მოხვდა და ამ ქვეყანაში მარწყვის იმპორტმა 142.5 ათასი ტონა შეადგინა (413.2 მილიონი დოლარის ღირებულება). იმავე წელს, მარწყვის მეორე მთავარი იმპორტიორი ქვეყანა კანადა იყო, რომელმაც 2015 წელს 100.3 მილიონი ტონა მარწყვის იმპორტი განახორციელა (316.2 მილიონი დოლარის ღირებულება).

### გრაფიკი 3

მარწყვის მთავარი იმპორტიორი ქვეყნები




წყარო: trademap.org (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)

## მარწყვის წარმოება და მარწყვით ვაჭრობა საქართველოში

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სტატისტიკის მიხედვით, მარწყვის წარმოება საქართველოში 2011-2013 წლებში წლიური 1800 ტონიდან 700 ტონამდე დაეცა. მაგრამ ექსპერტების შეფასებით, სასათბურე მეურნეობების განვითარებისა და სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ან უკვე განხორციელებული პროგრამების კვალდაკვალ, ბოლო წლებში ეს მაჩვენებელი თანდათან უმჯობესდება.

რაც შეეხება 2010-2016 წლებში მარწყვის საქართველოდან ექსპორტს, 2016 წლამდე მისი ღირებულება უმნიშვნელო იყო, ხოლო 2016 წლის პირველ და მეორე კვარტლებში მარწყვის ექსპორტით მიღებული ჯამური შემოსავალი 291%-ით აღემატებოდა წინა 10 წლის განმავლობაში ამავე პროდუქტის ექსპორტით მიღებულ ჯამურ შემოსავლებს.

— მრავიპი 4 —  
მარწყვის ექსპორტი საქართველოდან




წყარო: საქსტატი (2016 წლის მაჩვენებელი ითვალისწინებს იანვარი-ივნისის მონაცემებს)  
trademap.org (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)



2010-2016 წლებში საქართველოში მარწყვის იმპორტი საგრძნობლად აღემატებოდა ქვეყნიდან მის ექსპორტს, როგორც რაოდენობრივად, ისე ღირებულებითაც და ეს სიდიდეები ძირითადად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. 2016 წლის პირველ ორ კვარტალში ქვეყანაში იმპორტირებული მარწყვის ღირებულება თითქმის 127-ჯერ აღემატებოდა 2006 წლის ოთხივე კვარტლის იმპორტის ჯამურ ღირებულებას, ხოლო 2015 წელს ქვეყანაში 46-ჯერ უფრო მეტი მარწყვი შემოვიდა, ვიდრე 2006 წელს.

**— მრავიპი 5 —**  
**მარწყვის იმპორტი საქართველოში**




წყარო: საქსტატი (2016 წლის მაჩვენებელი ითვალისწინებს იანვარი-ივნისის მონაცემებს)  
 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (2016 წლის მონაცემი)  
 trademap.org (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)

**მარწყვის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში**



გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, მარწყვის მწარმოებელ ტოპ-5 ქვეყანაში ფერმერებისათვის 1 ტონა მარწყვის სარეალიზაციო ფასები ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. მარწყვის საბითუმო ფასი 2008-2014 წლების განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა აშშ-სა და მექსიკაში, ეცემოდა ესპანეთსა და თურქეთში, ხოლო ჩინეთში ფასის დინამიკა საკმაოდ მერყევი იყო.

**— მრავიპი 6 —**  
**მარწყვის საბითუმო ფასი (ათასი დოლარი/ტონა)**




წყარო: FAOSTAT (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)

## თურქეთი

თურქეთი საქართველოში მარწყვის მთავარი იმპორტიორია და მიუხედავად იმისა, რომ თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული მარწყვის ფასი თანდათან უახლოვდება თურქეთში მწარმოებელთა ფასებს, მწარმოებლის ფასები ჯერ კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე საიმპორტო ფასი(!). ეს ფაქტი თურქეთის მხრიდან მარწყვის ექსპორტის სავარაუდო სუბსიდირებაზე მიუთითებს.

### გრაფიკი 7

მარწყვის საბითუმო ფასი (ათასი დოლარი/ტონა)




წყარო: FAO და Trademap.org (2016 წლის 22 ივლისის მონაცემებით)

შენიშვნა: მწარმოებელთა ფასი არის იგივე საბითუმო ფასი, რომელსაც იღებს ფერმერი საკუთარი მოსავლის რეალიზაციიდან.

## მარწყვის მწარმოებელთა ფასები ევროკავშირსა და საქართველოში

2004-2008 წლებში ევროკავშირში მარწყვის მწარმოებელთა ფასები სტაბილურად იზრდებოდა და წლიური ზრდის ტემპი 1 ტონაზე დაახლოებით 217 დოლარს შეადგენდა. 2009 წლიდან ევროკავშირში მარწყვის საბითუმო ფასები დასტაბილურდა და 2009-2014 წლებში საშუალო ფასმა 1 ტონაზე 2 942 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება მარწყვის მწარმოებელთა ფასების დინამიკას საქართველოში, მონაცემები საკმაოდ მწირია და მხოლოდ 2006-2010 წლების პერიოდს მოიცავს. დაკვირვების პერიოდში, საქართველოში მარწყვის საბითუმო ფასი მუდმივად იზრდებოდა, თუ არ ჩავთვლით 2009 წელს, როცა, წინა წელთან შედარებით, ფასი 28.3%-ით დაეცა. საერთო ჯამში კი, ფასის ნაზრდმა დაკვირვების 5-წლიან შუალედში 1 ტონაზე 931.5 დოლარი შეადგინა.

**გრაფიკი 8**  
 მარწყვის მწარმოებელთა ფასები (ათასი დოლარი/ტონა)



წყარო: FAOSTAT (2016 წლის 28 ივლისის მონაცემებით)

საქართველოში მარწყვის საბითუმო ფასებზე მონაცემების სიმწირის მიუხედავად, ცხადია, რომ ეს მაჩვენებელი შედარებით ახლოსაა თურქეთში არსებულ ანალოგიურ სიდიდესთან და საგრძნობლად ჩამორჩება საბითუმო ფასებს ევროკავშირში, რომლის ბაზარი, ძირითადად, ისევ წევრი ქვეყნების ძვირადღირებული პროდუქტით მარაგდება.


### მარწყვის სამომხმარებლო ფასები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი წარმოების მარწყვის სამომხმარებლო ფასი ბაზარზე თვეების მიხედვით საკმაოდ მერყეულია, რაც მარწყვის მკვეთრად გამომხატული სეზონურობითა და იმ ფაქტით აიხსნება, რომ ქართული მარწყვი ზამთრის პერიოდში ბაზარზე თითქმის არ გვხვდება.

— **გრაფიკი 9** —

მარწყვის ყოველთვიური სამომხმარებლო ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)

მარწყვის ფასი (ლარი/კგ.)




წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები  
შენიშვნა: 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის მარტის ჩათვლით ქართული მარწყვი ბაზარზე ან არ იყიდებოდა ან მის ფასზე მონაცემები არ არსებობს.

რაც შეეხება ქართული მარწყვის სამომხმარებლო ფასების განსხვავებას ქვეყნის რეგიონებს შორის, 2016 წლის ივნისში, ეს პროდუქტი საშუალოდ ყველაზე ძვირი ღირდა აჭარაში (5.00 ლარი/კგ.), ხოლო ყველაზე იაფად ქართული მარწყვის შეძენა ქვემო ქართლში (3.12 ლარი/კგ.) შეიძლებოდა.

— **გრაფიკი 10** —

მარწყვის სამომხმარებლო ფასები საქართველოს რეგიონებში  
2016 წლის ივნისის თვეში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები  
შენიშვნა: მონაცემები აფხაზეთისა და თბილისის შესახებ არ არსებობს.